 21 ივლისი, ხუთშაბათი. № 142.


# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . 1 მან. |

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს.

დაუბეჭდავს წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

**ნეაპოლი,** 19 ივლისს. ისკიის კუნძულზედ მიწის ძვრისაგან დახოცილების რიცხვი მიაღწევს 2000 კაცამდე. მიწის ძვრა გაგრძელებულა სულ თხუთმეტი წამი. ყაზალიჩიოლში გადარჩენილა სულ ხუთი სახლი. პროფესორი ვალმიერი ამისთანა საშინელს მიწის ძვრას აბრალებს კუნძულის დაბლა დაწევას.

**პეტერბურღი.** კურიერის მატარებელი, პირველის და მეორე კლასის ვაგონებით მარტო, დაიწყებს სიარულს ლოზოვო-სევასტოპოლის რკინის გზაზედ 25 ივლისიდამ. მოგზაურებს გადაჯდომა არსად მოუხდებათ და პირ და პირ წავლენ მოსკოვიდამ სევასტოპოლამდე 48 საათს.

**რომი.** მოკლულების რიცხვი ისკიის კუნძულზედ მიაღწევს 3000 კაცამდე. ამდენის ხალხის დაღუპვის მიზეზი უფრო ის არის, რომ მიწის ძვრა მოხდა ღამით. ყველგანა სდგება კომიტეტები დაზიანებულების შესაწევნად. პაპამ და კოროლმა დიდი ფული შესწირეს. მართებლობამ გადასდო 200,000 ფრანკი ამავე საქმისათვის.

### თბილისი, 20 ივლისს.

ჩვენში მაზრის უფროსებს თავიანთ მაზრებში დიდი მნიშვნელობა აქვთ. ერობა არ არსებობს და მრავალი საქმე, რომელიც რუსეთში ერობის ხელთაა, ჩვენში მაზრის უფროსებსა აქვთ ჩაბარებული: გზები იმათ უნდა გააყვანინონ, ხიდები გააკეთებინონ, რუები შეაკეთებინონ, ან ახლად გაათხრევინონ, სკოლები დააარსებინონ, იზრუნონ ქურდებისა და ავაზაკების მოსპობაზედ, ერთის სიტყვით ასპარეზი მათის მოქმედებისა ვრცელია და რომელიც კი ამ ასპარეზზედ მომქმედი თავის მოვალეობას რიგიანად შეასრულებს, ის შეიძლება ხალხში საყვარელ კაცად გადაიქცეს და ეს საუკეთესო ჯილდოა რომელსამე ასპარეზზე მომქმედისათვის.

ამ ბოლოს დროს თბილისის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრებს იმისთანა უფროსები შეხვდათ, რომელთაც ხალხში რიგიანის და ენერგიულის კაცის სახელი აქვთ გავარდნილი; ზოგ მათგანთ ერთის ადგილიდამ მეორეზედ გადაყვანის დროს თან მისდევდათ ხალხის ლოცვა-კურთხევა და სინანული მალე მოშორებაზედ; ზოგიერთებმა კიდევ, დანიშვნის უმალვე, მოინდომეს თავიანთ მაზრების დახედვა, დანიშნეს მარშრუტი, დაწვრილებით აღრიცხეს, რომელ სოფელში რამდენს საათს უნდა დარჩენილიყვნენ და ისე შეუდგნენ მიჯნიდამ ჰიჯნამდე თავიანთ სამფლობელოს შემოვლას. ჩვენ, სწორე უნდა ვსთქვათ, ოფიციალურის შემოვლისა ბევრი არა გვწამს-რა, მაგრამ ეს შემოვლა მაინც ამტკიცებს ახალის მაზრის უფროსების სურვილს, რიგიანად გაიცნონ თავიანთი მაზრა, შემდეგში, როდესაც რომელიმე საქმე გაჩნდება, შეეძლოთ უკეთესად მისი გამორკვევა და გაჩხრეკა.

რაც კი რამ ზემოთ ჩამოვთვალეთ, რაც კი რამ შეადგენს მაზრის უფროსების მოვალეობას, ყოველსავე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში: თუ რომელსამე მაზრას, ან სოფელს გზა არა აქვს, ის მაზრა და სოფელი გამოუსადეგარია, თუნდ რძისა და თაფლის მდინარეები მიდიოდენ იქ; რომელს ვაკეზედ მდებარე სოფელსაც წყალი არა აქვს გაყვანილი, ის სოფელი ამისთანა გვალვებში, როგორნიც ამ ბოლოს დროს შემოგვეჩვივნენ, სულ ამოხმება; რომელს მაზრაშიაც კი ქურდობა და დაწვაა გახშირებული, იქ ყოველივე ეკონომიური გაუმჯობესობა შეფერხებული იქნება; მაგრამ საქმე ის არის, როგორ და რა ღონისძიებით უნდა საქმეს ხელის მოკიდება. ჩვენის აზრით მაზრის უფროსმა ხალხი არ უნდა დაზოგოს არც გზების გასაყვანად, არც რუებისა და არხების გასათხრელად, ოღონდ ორი პირობა შესრულებული იყოს: ხალხი სამუშაოდ მაშინ გამოიყვანოს როცა მინდვრისა და ვენახების გაცხარებული მუშაობა შეჩერებულია და მეორე ეს რომ გზები იქ იყოს გაყვანილი, სადაც ხალხი საჭიროობს და არა რომელიმე გავლენის მქონე და შეძლებული მამულის—პატრონი. მეორეც ესა, რომ რუების წყლით სარგებლობას ყოველ სოფელში თავისი წესი ჰქონდეს და უფლება მუშტზედ არ იყოს დაკრებული. მეორე პირობის შესრულებას მხოლოდ კეთილ-სინიდისიერება უნდა პირველს კი მაზრის კარგი ცოდნაც, რადგან ყოველს მაზრაში მთაც არის და ბარიც; ბარის ხალხი რომ რომელსამე მუშაობას მორჩება, მთისა მხოლოდ მაშინ იწყობს იმავე მუშაობას და ამ გვარად თითქმის ყოველს სოფელს იმ სოფლის კალოობაზედ უნდა დროს შერჩევა ხალხის სამუშაოდ გამოსაყვანად.

ჩვენდა სამწუხაროდ ერთი რამ შესამჩნევი მოვლენაა ჩვენს მაზრებში, რომლის მოსპობასაც მართლა რომ ძლიერის ენერგიით შეჭურვილი მაზრის უფროსი ეჭირვება. ეს არის მაზრის უფროსის ხელ-ქვეითების თავგასვლა და ამაყი წარმოდგენა თავისთავის მნიშვნელობაზედ. მაზრის უფროსის თანაშემწიდამ მოყოლებული უბრალო ჩაფრამდის ყველას თავისი თავი დიდი რამა ჰგონია და რაკი სოფელში მივა, იმის აზრით, ყველა უნდა ფეხ-ქვეშ გაეშალოს და წინ ფიანდაზები უფინოს. ამ გვარი პირთ

---

## «დროების» ფელეტონი 21 ივლისს.

### დედი-ჩემის ცოდო

(მოთხრობა)

(გაგრძელება*)

II

დღესაც თვალწინა მაქვს წარმოდგენილი ის შთაბეჭდილება, რა შთაბეჭდილებაც იქონია ჩემს ყმაწვილურ გონებაზედ ამ პირველმა ეკლესიაში გატარებულმა ღამემ. მკრთალი შუქი ხატებ წინ ჩამოკიდებულის ლამპებისა ოდნავ ანათებდა ტრაპეზის წინ კიბეებს და ეს სიბნელესთან შერეული შუქი უფრო საშიშარ სანახავადა ჰხდიდა იქაურობას. როდესაც კი ლამპის ალი შეინძრეოდა, ასე მეგონა ის ხატი, რომლის წინაც ეს ლამპა ეკიდა, აქეთ-იქით ირყეოდა, ცოცხლდებოდა, და თითქო უნდოდა ფიცრიდამ გადმოსვლა თავის წითელის ტანისამოსით და დიადის ოქროს შარავანდედით, რომელიც იმის შეუძრავს და ცივს სახეს გარშემო ჰქონდა. როდესაც ღამის ცივი ქარი მაღალს ფანჯრებში უშტვენდა და მინებს არყევდა, მე მეგონა რომ რაც კი მკვდარია დამარხული საყდრის გარშემო, საფლავიდამ ამოდიოდენ და მოხოხავდენ კედლებზედ შინ შემოსასვლელად. მე მთელი ტანი მიკანკალებდა და ყოველ წუთს მოველოდი, რომ აგერ ჩემს წინ ძვლების ჩონჩხი დაიხრება და გაყინულს ხელებს გაითბობს ჩვენს წინ მდებარე მაყალზედ-მეთქი. ეს შიში მე დედას ვერ გავუცხადე, რადგან ძალიან მიყვარდა ჩემი პატარა და ანულა და დიდ წყალობადაც მიმაჩნდა რომ იმასთანა და დედა-ჩემთან დამაგდეს; დედა-ჩემი მაშინვე შინ გამისტუმრებდა, თუ ჩემი შეშინება შეემჩნია.

ამ შიშს ყოველ-ღამე გმირულის სიმაგრით ვიტანდი და ყოველ-დღე ჩემს მოვალეობას მტკიცედ ვასრულებდი. აი რა იყო ჩემი მოვალეობა: უნდა ცეცხლი დამენთო, წყალი მომეტანა, საქმის დღეში ეკლესია დამეგავა; დღესასწაულებში და კვირაობით წირვის-წინა ლოცვის დროს უნდა ხელით ჩემი პატარა და მიმეყვანა სახარების ქვეშ, რომელსაც პატერი ტრაპეზის წინ ჰკითხულობდა; იქ ფილაქანზედ ვშლიდი ხალიჩას და ხალიჩაზედ ჩემი და პირქვე წვებოდა, ისე რომ პატერს ბარძიმ-ფეშხუმი ზედ გაეტარებინა. წირვის შემდეგ მე ვდებდი იმის ბალიშს ტრაპეზის მარცხენა კარის წინ, რომ ჩემს დას იმ დროს დაეჩოქნა ზედ, როდესაც პატერი თითო-თითოდ იხდიდა თავის საეკლესიო მორთულობას და თავზედ აწყობდა. მერე პატერი წმიდა კოვზით პირჯვარს გადასწერდა ხოლმე და ამ საღმრთო სიტყვებს ამბობდა:

«ჯვარითა შენითა, ჰოი ქრისტეო, დაიმხო მტარვალობა; ძლიერება მტრისა შეიმუსრა» და სხვ.

ჩემი საწყალი და ყველაფერზედ მორჩილად იქცეოდა და თავის ნაცრის ფერისა და გამხდარის სახით, სუსტისა და მოქანცულის სიარულით მიიმხრო თანაგრძნობა და სიბრალული ყველა თანა-დამსწრეთა, რომელნიც აგრეთვე ევედრებოდენ ღმერთს იმის მორჩენისათვის. მაგრამ, საუბედუროდ, მორჩენა არ ეტყობოდა. პირიქით, ნოტიო ჰაერმა, სიცივემ, უცნაურმა ადგილმა, ეკლესიაში გატარებულმა ღამეებმა ძალიან ცუდად იმოქმედეს მასზედ და უარესად გახადეს, ასე რომ ძალიან დაგვაფიქრა იმისმა მდგომარეობამ.

ამ ამბავმა უფრო ჩაუგდო ენა დედა-ჩემს. აღარავისთან არა ნდომულობდა ლაპარაკს, თუ არ ანულასთან.

ერთ დღეს მე მივუახლოვდი დედა-ჩემს, როდესაც ჯვარცმის წინ დაჩოქილი ლოცულობდა. იმან ვერ შეამჩნია.

— მიიღე, ამბობდა იგი, რომელიც გინდა ჩემი ვაჟი-შვილი, მაგრამ ჩემს ქალს კი ნუ გამომწირავ! მე ვხედავ, შენ გახსოვს ჩემი ცოდო და ჩემს დასასჯელად გინდა შვილი წამართვა. იყავნ ნება შენი!

მასუკან, რამდენსამე წუთს ჩუმად იყო და ამ დროს იმის ცრემლები მარცვალ-მარცვალ ეცემოდენ მარმარილოზედ. დედა-ჩემმა ერთი საშინლად ამოიოხრა გულიდამ და დაუმატა:

— აგერ ორნივ აქ მოვიყვანე, შენს ფეხთით... მაგრამ ჩემს ქალს ნუ წამართმევ, ნუ!

ამ სიტყვებს რომ ყური მოვკარ, საშინელმა ჟრუანტელმა დამირბინა მთელს ტანში; ყურებში დამიბჟუილა და მეტის გაგონება აღარ მოვინდომე. იმაზედ აღარ ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა დედა-ჩემს შეემჩნია და საჩქაროდ ქვითინით გამოვვარდი ეკლესიიდამ. ეს ლოცვა ჩემთვის წყევ-

*) იხ. «დროება» № 140.

უკანონობა და ანგარ-მოყვარეობა იქამდის მიდის, რომ მათ შეუძლიანთ საუკეთესო კაცსაც კი სახელი გაუტეხონ და ხალხს შეაძულონ. აი ამ ძველ ჭირს ახალი წამალი უნდა და რაც შეიძლება მალე მიშველებული წამალიც. ამ შემთხვევაში ბეჭდით წარმოთქმულ სიტყვას შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს ხალხსაც და თვით მაზრის ადმინისტრაციის საუკეთესო პირთაც.

## ახალი ამბები.

≈ გორიდამ ჩამოსულებმა გვითხრეს, რომ იქაური პარომი უფრო კისრების სამტვრევად არის გაკეთებული, ვიდრე ხალხის გასაყვანადაო; ჯერ არის და პარომზედ გადასასვლელ ხიდზედ ისეთი ფიცრები აწყვია და ისე აწყვია, რომ კაი სიმარჯვე გინდა, ფეხის, ან კისრის მოუტეხელად ზედ გაიაროო; თითონ პარომის სიარულისათვის ღმერთის წესი არ დაუწესებიათ, ხან ერთ გასვლას ნახევარ საათამდის უნდება, ხან ხუთს წამში ასწრობს; ნაპირებთან ისეთი ქვები ყრია, რომ პარომი მათზედ ხახუნით ერთს უსიამოვნო მუზიკას გამართავს ხოლმეო. ამას გარდა წესს გადასულია თურმე მეპარომეების უკანონო ქცევა უბრალოდ ჩაცმულებთან. ტაქსით ცარიელ ურემზე უნდა 10 კაპ. აიღონ, საპალნეზე 12 კაპ., მაგრამ იმათი ტაქსა იმათი ჭკუითაო. ამას წინად თითო ურემზედ სამ-სამი მანეთი გამოართვეს, ეს ჩვენ თითონა ვნახეთ და ვინ იცის უჩვენოდ რამდენს იღებენო. თუ პატარა უდროო დროს მიხვედი და მარტო ხარ ათასი რომ უყვირო პარომს არ გამოგიტანენო. ამის საუკეთესო წამალი ხიდია. მაგრამ ჩვენს რკინის ხიდს ჯერ დასარულება არსად ეტყობაო. უნდა დასრულებული ყოფილიყო 3 ს ივნისს და ჯერ ბოძებიც არ ჩაუსხამთო. არაფრით ისურვია ზუზუმანი რას გადაიხდის გადასვლისათვის. მაგრამ, როგორც დაგვარწმუნეს, არაფერსაც არ გადაიხდის, რადგან კონტრაქტში ჯანჯალზედ შეუსრულებლობისათვის არაფერი უწერია, თუმცა წინ-და-წინვე სამი ათასი თუმანი აიღოო.

≈ რუსული გაზეთი «ეხო» ამბობს, რომ თუმცა ხმები იყო, ვითომ აგვისტოში, შეჩერების ვადა რაკი გათავდება, — გაზეთი «Голосъ»-ი, კრაევსკის სააგენტოს გარდაეცემაო, მაგრამ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ეს გაზეთი ბილბასოვის რედაქტორობით გამოვა, მხოლოდ ცენზურის ქვეშ იქნება, როგორც ბეჭდვის ახალი კანონი ამბობსო.

≈ ცხინვალიდამ გვწერენ: დღეს, 16 ივლისს, მზე ჩასასვლელად იწყებდა, როდესაც მე გავიხედე ცხინვალში. ხიდი ლიახვისა ისე სავსე იყო, როგორც ცხინვალისა, ისე უცხო ხალხით, რომ გავლა გაუჭირდებოდა კაცს. ქალაქის და გორის სულის შემხუთველ სიცხეს გამოქცეულიყო ხალხი ამ ბუნებით მდიდარ ცხინვალში. მეც აქა ჩემს ნაცნობთან მიველ და თითქო რაღაცა სიხარულს ვგრძნობდი, რომ მე სულის შემხუთველ სიცხეს და გორის ნაგვიან ქუჩებსა, მტვერსა და უსუფთაობას გადავრჩი და წილი დავიდე ამ მდიდარ ბუნებაში, სადაც ზენა-ქარისა სიო და სიგრილე შეუდრეკლივით სცემდა. ამ სიამოვნებაში რომ ვსხედი, ხიდზედ უცნაური მოისმა და ხალხი ერთმანეთს ეჯახებოდა შეიქნა თუ არა კიბეზედ ფეხი შესატყუებლად ამ არეულობისა, გზაში შემეყარა აქაური მომრიგებელი მოსამართლე ჩერნოგუბოვი, რომელიც შეშინებული ეხვეწებოდა მამასახლისს, მომაშორე, დამიჭირე ჩქარა და მოწამე იყავ რომ მცემეს, და კიდევაც მიქადიან უპატიურობის მიყენებასო. ამავე რიგად აქაც ხალხს უმეორებდა და სთხოვდა მოწმობას და შველას, რომ ამათ ნამდვილად ნახეს აქაურმა ტერ-სტეფანოვებმა როგორა სცემეს და თან მიაჩქარებოდა. ქალი და კაცი ბევრნი მოსდევდენ უკან. უნდა მოგახსენოთ, საინტერესოდ დამრჩა გამეგო რა იყო მიზეზი ამ ყაყანისა; აი რა შევიტყე: აქაური მცხოვრებლებს ნიკა ტერ-სტეფანოვს დაუწერია ერთის მოქალაქისათვის არზა და მოსამართლეს არ მიუღია; ამავე რიგად თურმე ამის დაწერილს ყოველთვის უკან აბრუნებდა. ხსენებული ტერ-სტეფანოვი ბასხის მორეული შეხვდება მოსამართლეს ხიდზედ და დაუწყებს საუბარს და ვედრებას გააგებინოს მიზეზი რატომ არ იღებს მომჩივრებისაგან ამის დაწერილს ქაღალდს, ან რა სებაბი აქვს მოსამართლეს, რომ მომჩივარს უბნება ნუ დააწერინებ და ამასა და ამას დააწერინეო. მოსამართლეს ეპასუხნა ეგ ჩემი ნება არისო. ამაზედ შელაპარაკებულან და ამ ტერ-სტეფანოვის უმცროსს ძმას დაუშენია მუშტი. მოსამართლე ეხვეწებოდა მამასახლისს ამათ საპატიმროში დაჭერას. ხვალ რითი გათავდება საქმე, არ ვიცით. ჩემის აზრით მოსამართლეს მეტი დიდი წინააღმდეგობაა სინიდისისაც და კანონისაც, რომ მომჩივარს უბრძანებდეს, ვინ დაუწეროს თხოვნა, მაგრამ ბ. ტერ-სტეფანოვის ძმასაც რომ უფლება არა ჰქონდა დაეკრა, აქ უნდა დამემოწმება; ჯერ ახალგაზდაა, სწავლისთვისაც მიუყვია ხელი ამ ტერ-სტეფანოვს და მეტადრე ამ გვარ წრეში მყოფს უმაწვილს არა მართებს ეგეთი საზიზღარი ქცევა, იღბალი რომ მცირე-წლოვანია და ამითი მძიმე ბრალი ეცილება ხალხისგან და არც კანონისაგან გაიკიცხება.

≈ გუშინ 19 ივლისს, დილის 10 საათზედ, დაბრუნდა ქალაქში მთავარ-მმართველი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი განჯიდამ და მაშინვე კოჯორზედ წაბრძანდა. («კავკაზი»)

≈ კვირას, 17 ივლისს, თბილისის თავის თანამდებობის აღმასრულებელმა და თოთხმეტმა ხმოსანმა მიართვეს გრაფს ლორის-მელიქოვს დიპლომი ქალაქის საპატიო მოქალაქედ წოდებისა. («კავკაზი»)

## „დროების" კორესპონდენცია.

ფასანაური, 17 ივლისს. ჩემს კორესპონდენციაში იყო მოხსენებული, რომ 15 ივლისს წავიდა ბ. ბერიძე ანანურისკენ ცნობების შესაკრებად საბა ქარჩაიძის მკვლელობის თაობაზედ. დღეს, ე. ი. 17 ივლისს, მოვიდა ჩვენთან ბ. ბოქაული და გვიამბო, რომ მას დაუჭერია დუშეთის პოლიციის შემწეობით დუშეთისვე პოლიციის მოხელე ოსიტოვთან ერთად 16 ივლისს წილკანის სტანციაში სამი თათრად წოდებული «ციგნები», რომელნიც ცოლ-შვილით აქა-იქ დაწანწალებენ და აქვთ დაუბინავებელი ცხოვრება. ეს თათრები წარუდგენია დუშეთის მაზრის უფროსისათვის და დღესაც იქ არიან. ამათზედ მიიტანა ეჭვი ბ. ბერიძემ იმიტომ რომ ბრძოლის ველზედ ეპოვნა მუშტუკი, რომელიც არა ჰგვანდა ქართველის ვისიმე ნახმარს. გზაზედ ანანურში

---

ლა-კრულვაზედ უარესი იყო. მე გაგიჟებით მიყვარდა დედა-ჩემი და მეგონა იმასაც ვუყვარდი, რადგან უწინ მიალერსებდა ხოლმე და «თავის პაწიას» მეძახდა. მე ვებრალებოდი იმას იმიტომ, რომ ჩემს უფროსს ძმას ორი წლიწადი აწოვა ძუძუ და მე კი ძალიან ადრე გამაშვებინა ანულას დაბადების გამო. ახლა მომაგონდა, რომ მამა-ჩემი უფრო ხშირად მიალერსებდა ასე, ვიდრე დედა-ჩემი და ჩემს გულში ვამბობდი:

— მე მარტო მამა-ჩემს ვუყვარდი; დედა-ჩემს არ ვუყვარვარ. მე ეკლესიაში აღარ წავალ.

და ცრემლიანის თვალით შინისკენ გავიქეცი.

დედა-ჩემიც იმავე დღეს მოვიდა შინ თავის ანულათი. პატერს შეშინებოდა პატარა ეკლესიაში არ მომკვდარიყო და ეთხოვნა რომ იქიდამ წამოეყვანა.

დედა-ჩემმა რომ მნახა, ბევრი მიალერსა; ხელები მომხვია, და გადამკოცნა. დიდი ხანია ასე არსად მოქცეულიყო. თითქო ბოდიშს ითხოვდა, მწუხარების დროს რად დამავიწყდა, რომ შენც ჩემი შვილი ხარო.

მაგრამ მთელი ღამე მაინც თვალი ვერ მოვხუჭე, ისე აღელვებული ვიყავი. მე ჩემს ლოგინში ვიწექი და ვცდილობდი თვალები დახუჭული მქონოდა, მაგრამ ყური კი გამეცქვიტა და მინდოდა ყოველივე მოძრაობა, ყოველივე სიტყვა დედი-ჩემისა არ გამომპარებოდა. დედა-ჩემს კვლავინდებურად არ დაუძინია და ავად-მყოფის თავით გაატარა ღამე. შუაღამე იქნებოდა, რომ დედა-ჩემმა ოთახში სიარული დაიწყო. მე მეგონა ქვეშსაგებს იმზადებდა პატარა ხანს მოსასვენებლად, მაგრამ შევცდი. ცოტა ხანს უკან მომესმა, რომ დედა-ჩემი ერთს სამწუხარო სიმღერას ამბობდა. ანულას ავად-მყოფობის წინად ხშირად მღეროდა ასე, მაგრამ ავად-მყოფობის შემდეგ მე იმისაგან ეს სიმღერა ამის მეტად არ გამიგონია.

მე კარგად მახსოვს ის კაცი, რომელმაც ეს სიმღერა შესთხზა. ეს იყო ერთი მზისაგან დამწვარი ბოშა კაცი, ძონძებში გახვეული, რომელსაც ყველანი იცნობდნენ მეზობლობაში, როგორც კარგ მემუსიკეს. მე ეხლაც თითქო თვალ-წინა მაქვს იმისი შავი და გაქონილი თმები, პატარა ცოცხალი, ნაკვერჩხალსავით ბრწყინვალე თვალები და გადაღეღილი, ბალნიანი გული. ის იჯდა ხოლმე ჩვენის სახლის შემოსავალი კარების კუნჭულში, შემოზღუდული სპილენძის ავეჯეულობით, რომელიც დასაკალავად მოეკრიბებინა და თავ-მოღრეცილი თავის მწუხარე სიმღერას ხმას უწყობდა დანჯღრეულ სამ-სიმიანს ქნარზედ. დედა-ჩემი, ანულათი ხელში, იდგა ხოლმე იმის წინ და თვალ-ცრემლიანი გულ-მოდგინედ ყურს უგდებდა. მეც იმის ახლო ვიყავი ხოლმე, მეჭირა იმის კაბა ხელში და იუბკის კალთებში ვმალავდი პირის-სახეს, რადგან, როგორც თითონ სიმღერა ტკბილი იყო, ისე მომღერლის სახე იყო საზარელი. როცა დედა-ჩემმა იმისი მწუხარე სიმღერა ზეპირად ისწავლა, თავშლის წვერი გახსნა, ორი ოქროს—ფული ამოიღო და ბოშას მისცა: მაშინ ჩვენ ცოტა ფულიანები ვიყავით. მერე მოუტანა პური, ღვინო და რაც კი რამ საჭმელ-სასმელი ეპოვებოდა სახლში. ბოშა რომ ზეზეულად სადილს შეექცეოდა დაბლა-ეზოში, დედა-ჩემი ზემოდ იმეორებდა გაკვეთილს ხმა-დაბლა, რომ უფრო კარგად ჩაეხსომებოდა გონებაში. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო, რადგან, ბოშას წასვლა რომ შეიტყო, უკან გამოუდგა და ერთი ხელი ტანისამოსი მამი-ჩემისა საჩუქრად მისცა.

— შეალხინოს შენის ქმრის სულსა, უთხრა ბოშამ ამ გვარის მოულოდნელის გულ-უხვობით გაკვირვებულმა და წავიდა.

ეს სიმღერა იყო, რომელსაც ამ ღამე ამბობდა დედა-ჩემი; მე ყურს ვუგდებდი, ცრემლები თვალთაგან ჩუმადა მცვიოდა და განძრევასაც ვერა ვბედავდი. უეცრად საკმევლის სუნი ვიგრძენ.

— ოჰ, საწყალი ანულა მომკვდარა! ვთქვი ჩემს გულში და წამოვხტი ლოგინიდამ.

უცნაური სანახავი დავინახე: ავადმყოფი კვლავინდებურად მძიმედ სუნთქავდა; იმის საწოლის თავში ეწყო კაცის სრული ჩასაცმელი. მარჯვნივ ერთი სკამეიკა იდგა შავ-მაუდგადაფარებული; მაუდზედ იდგა წყლით სავსე ბადია, რომელსაც ორსავე მხარეს წყვილ-წყვილი წმიდა სანთელი ენთო. დედა-ჩემი დაჩოქილი უკმევდა ყოველ ამას და თვალებ-გაშტერებული წყალს შესცქეროდა. ალბად საშინელი ფერი დამედო, რადგან, დამინახა თუ არა დედა-ჩემმა, მაშინათვე დასამშვიდებლად მოვიდა ჩემთან.

— ნურაფრისა გეშინიან, შვილო, მითხრა ხმა-დაბლა, ეს მამი-შენის ტანისამოსია. შენ იცოდე, რომ იმისი

ეკითხნა «ციგნების» ამბავი და ეთქვათ ორმა სწრაფად ჩაიარაო. ზამოსდგომოდა და ეყარაულნა სოფ. წილკანის სტანციასთან, თუმცა გზაში კი შეხვედროდნენ და შემოხვეოდნენ სათხოვნელად. ზერიძეს ფული ეჩუქებინა და სინჯვაც დაეწყო. წილკანის სტანციაში მოსვლის დროს კარგად გაესინჯა და თითონ მოკლულის ხანჯალი ენახა ერთს ყმაწვილ თათრის ბიჭის წელზე. ეს ბიჭი დაეჭირა და ორზედაც ენახა ნიშანი: ერთს მხარი დაკაწრული ჰქონდა და მეორეს ახალუხი სისხლიანი. სამნივე დაიჭირა, თუმცა კი რაღაცა წინააღმდეგობას აპირებდნენ, მაგრამ სოფლებიდანაც გამოეწვია ხალხი და ველარ გაებედნათ. შემდეგ ეხვეწებოდნენ თურმე და სტიროდნენ ცოლ-შვილი, დიდი თუ პატარა. ბ. ზერიძე თათრულში დახელოვნებულია და ანუგეშებდა თურმე ნუ შეგეშინდებათო. ზერიძის დანახვაზედ თითონ მკვლელი აკანკალებულიყო, გული წასვლოდა და მაშინვე წაქცეულიყო. ბ. ზერიძემ ხანჯალი აქ, ფასანაურში, მოიტანა და ყველამ მცნობმა დაარწმუნა, აგრეთვე მამასახლისმაც, რომ «ეს ნამდვილად მოკლულის საბას ხანჯალი არისო».

ამის დარწმუნების შემდეგ, აცნობა მაზრის უფროსს «ტელეგრამით» ხანჯალი ნამდვილად იცნესო და მაგრად დაიჭირე დამნაშავენიო. როგორცა სჩანს საბა უნდა თავისივე ხანჯლით იყოს მოკლული, რადგანაც «ციგნები» ბევრნი ყოფილიყვნენ და დაეძლიათ. ნამდვილს გამოძიება აღმოაჩენს.

## საზოგადოებისადმი.

საგურამოს მემამულენი და გლეხნი თავიანთ შვილების აღზრდის ღონისძიებას მოკლებულნი არიან. მთელს დუშეთის მაზრაში (56764 სულია ორივეს სქესისა) მარტო ერთი სკოლაა. სხვათა შორის ამ მიზეზით მაზრის მცხოვრებთ არ შეუძლიანთ თავიანთი მეურნეობა გააუმჯობესონ, რის გამოც მათი ეკონომიური კეთილ-დღეობა დღე მუდამ უკან-და-უკან მიდის. გლეხებს და აზნაურებს, თუმცა ხელ-ქვეითა აქვთ უძრავი სიმდიდრე ბუნებისა, არ შეუძლიანთ მითი სარგებლობა. იმათ, გარდა წარღვნის დროინდელ საშუალებისაა არ იციან არავითარი სხვა გვარი მამულისა და ბაღ-ვენახის შემუშავება. მეურნეობის გონივრულად წაყვანა ეუცხოვებათ. არ არის საჩვენებელი ფერმა, სადაც მათ და მათს შვილებს შეეძლოთ ენახათ შეკეთება მიწის და სამეურნეო იარაღებისა, რომელნიც გაუადვილებდენ სოფლის მეპატრონეს მუშაობას. ამნაირმა სოფლელთ სამწუხარო მდგომარეობამ მიმიყვანა იმ ღრმა რწმენამდის, რომ მამულის გაუკეთესება და ნივთიერის ცხოვრების წინ-წასვლა კეთილ-შობილთ და გლეხებისა შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვის, სოფლის სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის გავრცელებით მცხოვრებთა შორის.

მემამულეები და გლეხები წელში სწყდებიან, მაგრამ მათს მძიმე შრომას მაინც არ მოაქვს ჯეროვანი ნაყოფი, რადგანაც უმეტესობა მოკლებულია საყოველდღეო სახმარ მეურნეობის და ხელოსნობის ცოდნას. გლეხი მუშაობს დილის განთიადიდამ ღამის სიბნელემდის და ძლივს მოულობს ლუკმა პურს და სწვდება სახელმწიფო და სასოფლო ხარჯს. ამავე დროს კი თვითეულ სოფლის წინ სდევს მთელი მთა სასუქისა, მაგრამ რა ჰქნას გლეხმა, ან როგორ გამოიყენოს, როდესაც არ იცის ამის შემძლებელლობითი ძალა? გლეხმა არ იცის, რომ სასუქით წელიწადში თითო დღიური რომ გააპატიოს, მისი სახლობა და თვითონაც დაცულნი იქნებიან სამუდამოდ სიმშილისაგან. ამ უცოდინარობის გამო ჩვენებური სახნავები ან ძალიან ცოტათი და ან სრულიად არ არიან შემუშავებულნი; ბაღები პირველ დროისვე მდგომარეობაში არიან; ღვინის ბადლად ისრიმი იწურება; კარგის ხილის მაგიერ ტყის ხილი იკრიფება და სხვ. სოფლელებმა სრულიად არ იციან დროის და ძალის დაზოგვა. მიწასა ხვნენ რვა უღელა ხარ-კამბეჩით; წარღვნის დროინდელი გუთანი და მისვე დროის ურემი უბებრებს მეგუთნეს ხელის გულს და მუშაობის უმეტესს დროს ართმევს; სამუშაო საქონლის მოვლა—ამ მეურნეობის დედა-ბოძისა—რომ არა გაეგებათრა, როგორც იმის კარგად ყოფნისა ისე ავად-მყოფობისა არა იციან-რა. ერთის სიტყვით ჩვენს მემამულეს სიძველის ჟანგი ჰხრავს. მხოლოდ წერა-კითხვის სკოლას და პრაქტიკულ მეურნეობის სასწავლებელს, თუ ერთმანეთთან შეკავშირებით იმოქმედებენ, შეუძლიანთ ჩვენი დაცემული მეურნეობა წარმატების და ვაუმჯობესობის კვალში ჩააყენოს.

რადგანაც საგურამოში მუდამ ყმაწვილების საკმაო რიცხვის მოგროვება შეიძლება, ამისთვის მე გადავსწყვიტე საწყალთ და უსწავლელთ მცხოვრებთ დაუყონებლივ მივშველებოდი და იმედს არა ვკარგავ, რომ საზოგადოება ამ საქმეს აღმოუჩენს მხურვალე თანაგრძნობას. ადგილობრივის გარემოების მიხედვით, მე ვცან სასარგებლოდ დამეარსებინა თანხმად წესდებაში მოყვანილის მუხლებისა, პრაქტიკული სამეურნეო სასწავლებელი ერთად წერა-კითხვის სასწავლებელთან ჩემს მამულში, სოფ. წინამძღვრიანთ-კარში ჩემს ხარჯზედ, საზოგადოების დახმარებით. თუმცა ამ სასწავლებელთა დანიშნულება სხვა-და-სხვაა, მაგრამ მათი ერთმანეთთან დაკავშირება ხალხში აუცილებელი მოთხოვნილებაა. მარტო წერა-კითხვის ცოდნა, სოფლის მეურნეობის და ხელობის უცოდინრად, ვერ ასწევს მცხოვრებთ ნივთიერ და ზნეობით მდგომარეობას და ვერც შეუცვლის ცხოვრების ეკონომიურ პირობებს; მეორეს მხრით, არც პრაქტიკულად მარტო მიწის შემუშავების ცოდნას შეუძლიან უწიგნოდ ჯეროვანის ნაყოფის მოტანა.

პრაქტიკული სოფლის სამეურნეო სკოლა იწყებს თვის მოქმედებას იმ ადგილს, სადაც, გარდა ქართველთ მოსახლეებისა და ორიოდ კომლის სომხისა, არ არის სხვა ერის მოსახლეობა. ამ ადგილის ყმაწვილები მოკლებულნი არიან თაობითვე რუსულის ენის ცოდნას. ამ მიზეზით ქართულს ენას წესდებაში აქვს მიცემული აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რუსული ენა კი არის შეტანილი სასწავლებელში, როგორც ერთი უმთავრესი სასწავლო საგანთაგანი. ამ ენის შესწავლა, როგორც სახელმწიფო ენისა, სკოლასა აქვს აზრად მიიყვანოს იქამდის, რომ მოსწავლეებს, შემდეგ სწავლის დასრულებისა, შეეძლოთ ტეხნიკურის სახელმძღვანელოე-

---

სული მოვიდეს და ჩვენი ანულა მოარჩინოს, და ამ სიტყვებზედ მეც თავის გვერდით დამაჩოქა.

— მოდი, მამა ჩემო, მოდი და ანულას მაგიერად მე წამიყვანე, მე.

ეს რომ ვსთქვი, დედა ჩემს მწარის თვალით შევხედე მარტო იმიტომ კი არა, რომ იმ დღევანდელმა ამბავმა ეკლესიაში უფრო დამანანა მამა ჩემი —იმიტომაც რომ მეგრძნობინებინა დედი-ჩემისთვის, რომ მე ვიცოდი თავის ლოცვაში, როგორ ჩემი სიცოცხლე ანულას შესწირა.

მე უგუნურს არ მესმოდა, რომ ამით საწყალის დედი-ჩემის მწუხარებასა უფრო ვუმატებდი. უეჭველია, ეკლესიის ლოცვა ძვირად დაუჯდა იმის გულს და აი ეხლა მე ვაცნობებდი კიდევ, რომ მისი საიდუმლო ჩემთვის დამალული არ იყო. მაგრამ ამითი მეტყობოდა, რომ დედი-ჩემის გულს არ ვიცნობდი.

დედა ჩემმა არაფერი შეამჩნია და განაგრძო კმევა იმ საგნებისა, რომელნიც წინ ეწყვნენ; მერე დასდო იქვე საცეცხლური და თვალები კიდევ წყალს შეაჩერა. უეცრად, ერთმა თეთრმა პეპელამ ბადიაზედ დაიფრიალა, ფრთები გაჰკრა წყალსა და ცოტათი ამღვრია. დედა ჩემმა მუხლი მოიდრიკა და პირჯვარი გამოისახა ისე, როგორც ბარძიმ-ფეშხუმის გატარების დროს ჩადიან ხოლმე.

— შენც პირჯვარი გამოისახე, შვილო, მითხრა დედამ ჩუმად საშინლად აღელვებულმა და პირ-და-პირ კი არ შემოუხედა.

მე დავემორჩილე მაშინასავით.

როდესაც პატარა პეპელა ოთახის სიბნელეში გაჰქრა, დედამ უთხრა ანულას:

— მამიშენის სულმა გაიარა.

დედა ჩემმა ღრმად ამოისუნთქა, კმაყოფილი წამოდგა და თვალი პეპელას ფრენას გააყოლა. მერე ცოტა შესვა ბადიის წყალი და მეც დამალევინა. მე მომაგონდა რომ უწინ, ანულას ავად გახდომამდე, ხშირად გვასმევდა დედა ჩემი ამ ბადიით წყალსა და გვეუბნებოდა, — მამათქვენიც ამითი სვამდაო; მე მომაგონდა აგრეთვე, რომ როდესაც კი დედა-ჩემი ამას ჩადიოდა, მთელის დღით კმაყოფილი და მხიარული იყო, თითქო რაღაც საიდუმლო ბედნიერება ეწვიაო.

მე ვფიქრობდი იმაზედ, რომ ალბად ეს სცენა მრავალჯერ მომხდარა ჩვენის ძილის დროსა მეთქი, და ამ დროს დედა-ჩემი ანულას ლოგინთან მივიდა: საბრალო ავად-მყოფს ბავშვს არც ეძინა, არც სრულებით მღვიძარე იყო. იმის ქუთუთოები ნახევრად მიწეულიყვნენ ერთმანეთთან და თვალები უცნაურად იხედებოდნენ გრძელს წამწამებში. დედა ჩემმა ფრთხილად ასწია იმის გამხდარი სხეული და ერთის ხელით რომ მხრები ეჭირა, მეორეთი იმის დასუსტებულ ტუჩებს ბადიას აწოდებდა.

— მოდი, შვილო, ეუბნებოდა დედა, დალიე ცოტა, მორჩები.

ავად-მყოფმა თვალები კი არ გაახილა, მაგრამ თითქო გაიგო ნალაპარაკევი და ტკბილმა ღიმილმა ტუჩი ტუჩს გაუშორა. ორიოდ ცვარი ჩაყლაპა იმ წყლისა, რომელსაც უნდა მოერჩინა. მართლაც ტუჩები მიაკარა თუ არა, თვალები გაახილა, და რის ტანჯვითა ცდილობდა დიდხანს ესუნთქა; ნელი ოხვრა ამოუვიდა გულიდამ და ანულა მძიმედ დაეცა დედიჩემის მკლავზედ.

ჩემი საწყალი და განთავისუფლდა თავის სენისაგან.

ბევრნი ამტყუნებდენ დედაჩემს, რომ როდესაც უცხოები მაღალის ხმით თავს დასტიროდენ მამიჩემის ცხედარს, დედაჩემი ჩუმად სტიროდა ცხარეს ცრემლით. უპედური დედა-ჩემი ამას იმიტომ ჩადიოდა,—ეშინოდა, ვაი თუ ხალხში გამოსვლა ცუდად ჩამომართვანო, — და მართლაც ძალიან ახალ-გაზდა ქვრივი იყო დედა-ჩემი. ჩემი და რომ მოკვდა, ბევრით უფროსი არც ეხლა იყო, მაგრამ ფიქრის დრო აღარა ჰქონდა, თუ რას იტყვიანო და საშინელი ტირილი მორთო. მთელი მეზობლობა იქ მოგროვდა სანუგეშებლად, მაგრამ იმის მწუხარება საშინელი იყო და უნუგეშებელი. — ჭკუაზედ შეიშლება, ამბობდენ გამვლელ-გამომვლელნი ჩვენის კარების წინ.—თავის შვილებს ულუკმა-პუროდ დასტოვებს ქუჩაშიო, ამბობდენ მეორენი, რა დაგვინახავდენ დაძონძილს ტანისამოსში მაშინ, როდესაც დედაჩემი იჯდა სევდით მოცული ჩემის დისა და მამიჩემის საფლავს შუა. ბევრი დრო გამოვიდა, ბევრი საყვედური და რჩევა დასჭირდა პატერს, რომ გამოებრუნებინა დედა-ჩემი და მოეგონებინა, რომ სხვა შვილებიცა ჰყავდა.

(შემდეგი იქნება).

Дозв. цензурою Тифлисъ, 20 Iюля 1883 г.

ბის წაკითხვა ამ ენაზედ, აგრეთვე სარგებლობა მდიდარის რუსულის სასოფლო მეურნეობის ლიტერატურათი.

პედაგოგიაში გამოჩენილ პირთა მიერ არის უეჭველად დადგენილი ის ფაქტი, რომ ყმაწვილები ასაკში შევლამდის უნდა სწავლობდენ და ვარჯიშობდენ გასაგონს დედა-ენაზედ. ყმაწვილები ამ მომავალ სოფლის სამეურნეო სკოლაში, სადაც სწავლა გრძელდება ექვსი წელიწადი, რუსულის ენის სწავლას დაიწყობენ პირველის წლის მეორის ნახევრიდამ და გააგრძელებენ მეცადინეობას ამ საგანში სწავლის დასრულებამდის.

სასწავლებელს და ფერმას უნდა განუწყვეტელი კავშირი ჰქონდეთ ერთმანეთთან. თვითეულ შეგირდს ექნება გაკვეთილი ნაჭერი მიწა ფერმაში და მცოდინარის პრაქტიკის დახმარებით განიმარტებს, შეასწორებს და გაახორციელებს იმ თეორეთულ სამეურნეო ცოდნას, რომელიც სასწავლებელში შეითვისა. მუშაობის ამ გვარად მსვლელობის გამო მოსწავლეებში გაიღვიძებს შეჯიბრება, ხალისი მუშაობის და სიყვარული სწავლისადმი, რომელიც მას დააკავშირებს, სახელოსნო სკოლასთან გააცნობს მიწის სამუშაო და სამეურნეო იარაღებს და მისცემს პრაქტიკულ ცოდნას.

ვაარსებ-რა ამ გვარ სასწავლებელს, მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ მარტო ამ საფუძვლით შეუძლიან სკოლას მოიპოვოს ადგილობრივ საზოგადოების თანაგრძნობა, ურომლოთაც არავითარ სასწავლებელს არ შეუძლიან ფესვის გადგმა. არავითარი დაწყობა კერძო პირისა არ იქნება მაგარს ნიადაგზედ დამყარებული, თუ საზოგადოება არ თანაუგრძნობს და არ დაეხმარება. ამისათვის, საზოგადოების მიერ თანაგრძნობისა და დახმარების მოსაპოებლად, საჭიროა რომ ყოველს საზოგადო საქმეზე თითონ საზოგადოებას ეჭიროს თვალი. ამ განზრახვით არსდება: სამეურნეო სასოფლო სკოლის მფარველთა და შემწეთ საზოგადოება, რომლის ხელქვეითაც იმოქმედებს სასწავლებელი მეცნიერების სინათლის შესატანად ჩვენს სიბნელით მოცულს ხალხში.

ამ საზოგადოების დანიშნულება ბევრად მძიმეა: ამან უნდა შესწიროს თავისი მოღვაწეობა სასწავლებელს, ამასთანავე ადგილობრივ მცხოვრებთ საჭიროებას და სარგებლობას თან სწოროს განუწყვეტელი ბრძოლა ხალხის ცრუმორწმუნეობასთან. საზოგადოებამ შეძლებისა და გვარად უნდა შეაკეთოს ადგილობრივი მიწის სამუშაო იარაღი, პრაქტიკულად გაავრცელოს ხალხში სამეურნეო ცოდნა, და შემოიღოს გაუკეთესებული სამუშაო იარაღები, უმჯობესი თესლეული და კარგის მოდგმის საქონელი; ამასთანავე დაეხმაროს ადგილობრივ მცხოვრებთა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობების შესადგენად და საადგილმამულო ურთიერთ ნდობის ბანკის დაწესებას.

მამოვიკვლიეთ-რა მოვალეობა და ქიმართულება სკოლისა და საზოგადოებისა, იმედი მაქვს რომ პატივცემული საზოგადოება ამ საქმეს მიეკარება სრულის თანაგრძნობით და წმინდის გულით და დაეხმარება ამ პირველად ჩვენში დაწყებულს საქმეს ყოველისფრით, რომ იგი შესრულებულ იქმნას.

თქვენი პატივის მცემელი
ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილი.

---

# განცხადებანი

## სასარგებლო აბანო.

მრავალს გაეგონება, რომ კალითის სოფელში შორაპნის მაზრაში არის სასარგებლო აბანო, მარამ ძლიერ მოუწყობელი. შევხვდებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე ავილე ეს აბანო იჯარით და გავმართე ძლიერ კარგად. კალითის აბანოს წყლები, როგორც გამოცდილებით და ნასწავლი კაცების გამოკვლევით შეტყობილია არჩენს ცივი ქარების სნეულებთ; არჩენს დასუსტებულებს, თავის ტკივილს, მჭლით ავად-მყოფებთა და აქრობს ტანის ქავილს. ქველას თავისუფლად შეუძლიანთ ისადგურონ და იბანაონ რამდენი ხანიც სურსთ ამ აბანოზე და ფასიც ძლიერ იაფია.

აბანოს მოიჯარადრე ევნატე კახელი.
(2—2)

---

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | მოსკოვის ჩაის | |
|---|---|---|---|
| | 1 მ. 10 კ. | | 1 მ. 40 კ. |
| — — | 1—20 | — — | 1—60 |
| — — | 1—40 | — — | 1—80 |
| — — | 1—60 | — — | 2— ,, |
| — — | 1—80 | — — | 2—50 |
| საუკეთესო | 2— ,, | — — | 3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები. კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები. ტაშტები, კალმები. ქაღალდი მოკოლადი, კაკაო, კანფეტები. მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, ხელსახოცები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქაღალდს გაიყიდამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს ხარჯებს არ ისდის. (100—9)

---

# ინგლისური რკინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე იყიდება 25% იაფად ვინემ სხვაგან საქონელი ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფაიფორები, გლიტვები, ხათანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიშნები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—92)

---

ინგლისის მაღაზიაში

# თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს. ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—8)



# მაკ-მასტერი

აქვე იყიდება ქინის პომადები თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროპები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო — ინგლისის მაღაზია. იქვა აუარებელი სხვა-და-სხვა გვრისა კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, დაფი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეორეულისათვის, პატარა ხალხისა, ბავშვებისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ჩაფები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეკვეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომადი, ქამრები, სარტყელები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, სანქმი ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—49)

---

25% უფრო იაფად ვინემ სხვაგან

ციტრატი, მაგნეზია, ყავის საფქვავი, საურველები, უთოები, კრაოტები, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, კლიონკა, დანები, შროტკები, ჩანგლები, კალმები, ჩაი პირველი რიგელისა და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10—9)

---

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ და-ხელ 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |

---

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის

9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ

2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ

1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ

9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ

2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ

9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ

9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის

12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში

8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 20 Іюля 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველი შვილი. რედაქტორი ი. ძაძაველი.